წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N3

ქ. წყალტუბო 20.09.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები - ზურაბ ჯანელიძე, მარინა ჭავჭანიძე, ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, ნიკოლოზ გურეშიძე, დავითი მესხი, მურად სინაურიძე, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე, მარინა ჭავჭანიძე; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, ამავე სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილების უფროსი ნათია გახოკიძე, ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსი ნათია ჩაკვეტაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ნ. ჩაკვეტაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის თაობაზე, აღნიშნული სამსახურის უფროსის ნათია ჩაკვეტაძის ინფორმაცია. აღინიშნა, რომ საანგარიში პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი საზრუნავი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა იყო. დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს კერძოდ, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, მესამე შვილის შეძენის გამო 500-500 ლარი დახმარების სახით მიიღო თექვსმეტმა ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა შვიდმა ოჯახმა 700 -700 ლარი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა 27 ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი

შვილი ერთჯერადად მიიღო - 300 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 11 ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, მათთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი იქნა- 250 ლარი.სოციალურად დაუცველ 41 ოჯახს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100000-ი ქულის ჩათვლით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გამოეყოთ თითოეულს 250 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 52 პირს (თითოეულს 350 ლარის ოდენობით), სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 1 ომის მონაწილეს 350 ლარის ოდენობით), ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 8 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 350 ლარის ოდენობით),დიდი სამამულო ომის 2 მონაწილეს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, ცერებრალური დამბლით დაავადებულ 16 პირს (თითოეულს 500 ლარი), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 14 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება (თითოეულს - 300 ლარი), თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე, ჰემოდიალიზზე და პერიტონულ დიალიზზე დამოკიდებულ 8 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს -2000 ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 15 ბავშვს (თითოეულს -300 ლარი), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 8 პირს გაეწია დახმარება (თითოეულს 300 ლარის ოდენობით), ფსორიოზით დაავადებულ 8 პირს გაეწია დახმარება 300 ლარის ოდენობით. პარკინსონით დაავადებულ 21 პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს 300 ლარის ოდენობით).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 19 მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოთ - 150 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა,დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო.სტიქიის შედეგად დაზარალებულ 28 ოჯახს გამოეყო ფულადი დახმარება სულ 32200 ლარი. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა 3 მოქალაქე თვეში 150 ლარით. დედ-მამით ობოლ 2 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით. რეინტეგრირებული ბავშვების დახმარება გაეწია 1 პირს 250 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 296 მოქალაქე 50% თანადაფინანსდა გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციებისთვის.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მანანა ჩიხლაძემ, ლალი გრიგოლავამ, მარინა ჭავჭანიძემ, ზურაბ ჯანელიძემ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ, ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე